ხელშეკრულება № 690

(პერიმეტრი და ღილაკი შეღავათიანი პირობებით)

ქ. ქუთაისი „28" 12 2017 წ.

შ.პ.ს. "ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"-ს გენერალური დირექტორის ლაშა კილაძის სახით (შემდგომში "დამკვეთად" წოდებული), ერთის მხრივ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი _ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის იმერეთი-გურიის' რეგიონალური დ/პ სამმართველო, მისი უფროსის აკაკი შენგელიას სახით (შემდგომში "შემსრულებლად" წოდებული) მეორე მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 "შემსრულებელი" შესაბამისი მოკვლევის აქტის საფუძველზე, შ.პ.ს. "ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"-ს ზესტაფონის მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის განყოფილების დაცვას (შემდგომში "ობიექტად" წოდებული"), რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ზესტაფონი უზნაძის ქ.N142-ში. CPV79713000-დაცვის მომსახურება.SMP170003104

1.2 "ობიექტის" დაცვა განხორციელდება "დამკვეთის" მიერ "ობიექტის" დაცვის ცენტრალიზებულ პუნქტზე ჩაბარებისა და "შემსრულებლის" მიერ ობიექტის დაცვაში აყვანის შემდეგ;

1.3. "ობიექტზე" დანაშაულის აღკვეთა (საგანგაშო სიგნალიზაციით, "ღილაკის" მეშვეობით) განხორციელდება, ცენტრალიზებულ დაცვის პულტზე მიღებულ განგაშზე სათანადო რეაგირების გზით.

1.4 "ობიექტის" დაცვას ც.დ.პ-ეს სამი გასაღების (პერიმეტრებისა და საგანგაშო ღილაკის) საშუალებით განახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი _ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველოს ზესტაფონის დ/პ განყოფილება.

მუხლი 2. ანგარიშსწორების პირობები

2.1 შემსრულებლის მომსახურების ღირებულება ერთ თვეში შეადგენს - 280.00 (ორას ოთხმოც) ლარს, დ.ღ.გ-ს ჩათვლით; ხელშეკრულების სრული ღირებულება 3360,00 ლარი.

2.2 ანგარიშსწორება მხარეთა შორის მოხდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

2.3 "შემსრულებლის" მომსახურების საგადასახადო დოკუმენტაციის შედგენას უზრუნველყოფს შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 "შემსრულებელი" ვალდებულია:

3.1.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადით, ხელშეკრულების მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მის საკუთრებაში არსებული (დანართი #1) აპარატურის (მოწყობილობები) მონტაჟი-ინსტალაცია დამკვეთის ობიექტზე;

3.1.2 ცენტრალიზებული დაცვის პულტზე განგაშის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) წუთისა მოახდინოს "ობიექტზე" გამოცხადება და ადგილზე მისვლის შემდეგ, უზრუნველყოს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთა-აცილება;

3.1.3 "ობიექტზე" მომხდარი სამართალდარღვევის ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს "დამკვეთს" და უზრუნველყოს შს შესაბამისი ორგანოების გამოძახება, ხოლო მათ მოსვლამდე დაიცვას შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა;

3.1.4 სიგნალ "განგაშის" მიღებისას ობიექტის გასახსნელად, სიგნალის ამუშავების მიზეზის დასადგენად, აგრეთვე ობიექტის ხელმეორედ დაცვაზე ასაყვანად _ გამოიძახოს "დამკვეთი" ან ობიექტის მიღება-ჩაბარებაზე დამკვეთის მიერ წერილობით აღჭურვილი პირი.

3.1.5 . არ მიიღოს "ობიექტი" დაცვაში, თუ არ შესრულდა მოკვლევის აქტით განსაზღვრული მოთხოვნები ან შეიქმნა ისეთი პირობები რომლის გამოც, "დაცვისგან" დამოუკიდებელი მიზეზებით არ ხერხდება დაცვაში აყვანა, რაზედაც "დამკვეთს" ეცნობება წინასწარ;

3.1.6 . იკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ ზარალისათვის, რომელიც გამოიწვია "შემსრულებლის" ვალდებულებების არაჯეროვანმა შესრულებამ და არა "დამკვეთის" დაუდევრობამ;

2. `დამკვეთი~ ვალდებულია:

3.2.1 . `ობიექტის~ დაცვაზე მიღება-ჩაბარებისათვის ოფიციალურად გამოყოს პირი (სანდო პირი) და შემსრულებელთან შეთანხმებით გადასცეს მას სიგნალიზაციით სარგებლობის, ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების უფლება;

3.2.2 . განგაშის შემთხვევაში `შემსრულებელს~ მისცეს დასაცავი `ობიექტის~ გახსნისა და დათვალიერების საშუალება;

3.2.3 . უცხო პირებს არ გაანდოს დაცვის ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესები, ობიექტზე მინიჭებული პირობითი ნომერი;

3.2.4 . სიგნალიზაციის გაუმართაობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ `შემსრულებელს~, დაელოდოს `შემსრულებლის~ წარმომადგენლის გამოცხადებას -და მის მიერ ნაკლოვანებების აღმოფხვრას;

3.2.5 . ელექტრო-ენერგიის ავარიული გამორთვის შემთხვევაში იქონიოს გამართულ მდგომარეობაში დასამუხტი და სარეზერვო მკვებავი საშუალებები.

3.2.6 . წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.1 პუნქტში მითითებული მოწყობილობების (რომლებიც წარმოადგენს საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკუთრებას და შემსრულებლის მიერ საკუთარი ხარჯებით არის დამონტაჟებული `დამკვეთი~-ს ობიექტზე) განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანების შემთხვევაში 5 სამუშაო დღის განმავლობაში აანაზღაუროს მიყენებული ზარალი განსაზღვრული დანართი #1-ით მითითებული ღირებულების შესაბამისად;

3.2.7 . უზრუნველყოს მოკვლევის აქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;

3.2.8 . არ დაუშვას `შემსრულებლის~ მიერ დამონტაჟებული აპარატურის გადაკეთება ან შეკეთება დაცვის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსრულებელი არ აგებს პასუხს დამკვეთის თვითნებური მოქმედებით გამოწვეულ გაუმართაობაზე (შეფერხებაზე) და დამკვეთისათვის მიყენებულ ზიანზე;

3.2.9 რეკვიზიტების (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები) შეცვლის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს `შემსრულებელს~.

3.2.10 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტის `ზ~ პუნქტით განსაზღვრული მოწყობილობების შემოწმებისა და დემონტაჟის მიზნით, ვალდებულია უზრუნველყოს შემსრულებლის წარმომადგენლების დაშვება ობიექტზე.

3.2.11 ერთ წელზე ადრე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა ,,დაცვას" გადაუხადოს ჯარიმის სახით ერთი თვის დაცვის მომსახურეობის თანხა.

მუხლი 4. ფორს-მაჟორი

4.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან ფორს-მაჟორული შემთხვევების დროს, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებული მოვალეობათა შესრულება.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ვადა შეადგენს 2018 წლის 01 იანვრიდან და 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

5.2 ხელშეკრულება ძალაში შედის 2018 წლის 01 იანვრიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

5.3 წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს მხრეთა შორის გაფორმებული 2016 წლის 29 დეკემბრის N761 ხელშეკრულება.

მუხლი 6. ხელშეკრულების სხვა პირობები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს დანართი #1, მხარეთა მიერ შედგენილი დაცვით-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი და მხარეთა შორის გაფორმებული ,,ობიექტის'' მოკვლევის აქტი.

6.2. ,,შემსრულებელი'' უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება მის მიერ გაწეული მომსახურების ,,ტარიფის'' გაზრდის ან შემცირების შესახებ, რომელიც ორი კვირით ადრე წერილობით უნდა ეცნობოს ,,დამკვეთს''. თუკი აღნიშნული ვადის გასვლამდე ,,შემსრულებელმა'' არ მიიღო შეტყობინება ,,დამკვეთისაგან'' იმის შესახებ, რომ იგი არ ეთანხმება ცვლილებას, ითვლება, რომ მხარე იღებს ახალ პირობას;

6.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რის შესახებ ვალდებულნი არიან ათი დღით ადრე წერილობით აცნობონ ერთმანეთს;

6.4. დამკვეთის ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) ქმედებით გამოწვეულ ,,ცრუ განგაშზე" დასაცავ ობიექტზე ,,შემსრულებლის" გამოცხადების პირველი შემთხვევის დროს, ,,დამკვეთს" ეძლევა წერილობითი გაფრთხილება ცრუ განგაშის განმეორების შემთხვევებში პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე. ყოველი მომდევნო ,,ცრუ განგაშის" შემთხვევაში დამკვეთი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

6.5. შემსრულებელი უფლებამოსილია ხელშეკრულების შეწყვეტიდან 3 სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტის "ბ" პუნქტით განსაზღვრული მოწყობილობების შემოწმება და დემონტაჟი;

6.6. დაცვითი-საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემის მონტაჟ-ინსტალაციის მიღება-ჩაბარების აქტის "ბ" პუნქტით განსაზღვრული მოწყობილობები წარმოადგენს შემსრულებლის საკუთრებას;

6.7.სადაო საკითხებს მხარეები წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;

6.8.წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილს;

ხელშეკრულება შედგენილია ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან, ერთი ინახება "დამკვეთთან, ხოლო სამი "შემსრულებელთან".

**მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

„ დამკვეთი „

შ.პ.ს. "ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"

ქ.თბილისი ქავთარაძის ქ.N21

ს/კ N 404945164

გენერალური დირექტორი / ლ. კილაძე /

"შემსრულებელი "

შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო

ქ. ქუთაისი ნიკეას №9; ს/კ 211350928 მიმღების ბანკი_ სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება _ ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი _ TRESGE22;

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი _707117042

იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის

პოლიციის სამმართველოს უფროსი / ა. შენგელია /

# ხ ა რ ჯ თ ა ღ რ ი ც ხ ვ ა № 690

დაცვითი-სიგნალიზაციო ტექნიკური საშუალებების მონტაჟის შესახებ

| | | | |
|---|---|---|---|
| ხარჯთაღრიცხვის № | 690 | მასალის ღირ. | 1 139,11 |
| ხელშეკრულების თარიღი | 28.12.17. | მონტაჟი | 0.00 |
| ხელშეკრულების სტარტ თარიღი | 28.12.17. | | |
| ხელშეკრულების ვადა | | დღგ | 205.04 |
| ხელშეკრულების პროლონგაცია | | ხელშეკრულების თანხა | 1 344,15 |
| დამკვეთის საიდენტიფიკაციო (პირადი) № | ს/კ | 404945164 | |
| დამკვეთის დასახელება | შ.პ.ს. "ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი" | | |
| დამკვეთის მისამართი | ქ.თბილისი ქავთარაძის ქ. №21 . | | |
| ხელმომწერი | ლაშა კილაძე | | |
| დამკვეთის ანგარიშის № | | | |
| დამკვეთის ბანკის კოდის № | | | |

| № | საქონლის კოდი | შტრიხ კოდი | საქონლის დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | | სულ თანხა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | დღგ გარეშე | დღგ ჩათვლით | დღგ გარეშე | დღგ ჩათვლით |
| 1 | 2 | | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 1 | 8184 | | საკონტროლო პანელი | ცალი | 1 | 224,00 | 264,3200 | 224,00 | 264,320 |
| 1 | 8536 | 90050538 | საკონტროლო პანელი | ცალი | 1 | 196,89 | 232,3287 | 196,89 | 232,329 |
| 2 | 8986 | 90044736 | რადიო მიმღებ გადამცემი | ცალი | 1 | 718,22 | 847,5000 | 718,22 | 847,500 |
| 3 | | | ჯამი : | | 3 | 1139,1 | 1344,149 | 1139,11 | 1344,149 |

"დ ა მ კ ვ ე თ ი"

შ.პ.ს. "ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"

ქ.თბილისი ქავთარაძის ქ. №21

ს/კ № 404945164

გენერალური დირექტორი /ლაშა კილაძე/

"შ ე მ ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი"

იმერეთი-გურიის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო

ქუთაისი- ნიკეას №9

ს.კ. № 211350928

უფროსი /აკაკი შენგელია/

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" გენერალური დირექტორი ლაშა კილაძე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაზე (№690; 28,12,2017წ.) ხელმოწერით ადასტურებს, რომ აღნიშნული გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ასევე ამავე მუხლის შესაბამისად, ნ. გოგინაშვილი (შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის" საფინანსო ეკონომიკური სამსახურის შესყიდვების უფროსი სპეციალისტი) ხელმოწერით ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების (№690; 28,12,2017წ.) მიმწოდებელთან („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, პირველი პუნქტის „გ" და „ე" ქვეპუნქტები) შსს სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი"-სთან.

**შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"**

ცენტრის გენერალური დირექტორი: ---------------------------------- /ლ. კილაძე/

**შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი"**

საფინანსო ეკონომიკური სამსახურის შესყიდვების უფროსი სპეციალისტი: ---ნ. გოგინაშვილი--- /ნ. გოგინაშვილი/

28,12,2017წ.